პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 16 თებერვალი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

35 (1030)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუ ჩა

ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ჩვენი სალამი.

დღეს დაამთავრებს თავის მუშაობას სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის მეხუთე ყრილობა, ყრილობა გაიხსნა 11 თებერვალს, მოისმინა ცენტრალური გამგეობის მოქმედების ანგარიში და ჯამი გაუკეთა ყველა იმ საკითხებს, რომელიც იდგა მის დღის წესრიგში.

განათლების მუშაკთა წინაშე სოციალისტური აღმშენებლობის დროს, ამ ჟამად სდგას დიდი ამოცანები. ქალაქისა და სოფლის მასწავლებლობა ახალგაზრდობის აღმზრდელია ახალ პრინციპებზე, რომელიც გამომუშავებულია ჩვენი ხელისუფლების მიერ. მასწავლებლობა პირნათლად იხდიდა და იხდის იმ მოვალეობას, რომელიც დაკისრებულია მაზე.

საბჭოთა ხელისუფლებისა და ჩვენი პარტიის მთელი ყურადღება ყოველთვის მიპყრობილი იყო და არის განათლების საქმისაკენ და ამაზე ხარჯავს თავისი ბიუჯეტის საგრძნობ ნაწილს. თუმცა ამითი იმის თქმა არ შეგვიძლია, რომ მასწავლებლის ნივთიერი მდგომარეობა ამ ჟამად იმ დონეზე იყოს აყვანილი, რომელიც საჭიროა. მაგრამ ის, რაც ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე, გაკეთდა მასწავლებელთა სასარგებლოთ, იძლევა იმის იმედებს, რომ მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება მათი ეკონომიური მდგომარეობა ჩვენი სახელმწიფოს საერთო გამარჯვებასა და ეკონომიურად განმტკიცება-გამაგრებასთან ერთად. მასწავლებლობა კარგათ ამჩნევს ყოველივე ამას და ამიტომაა, რომ ის შეგნებულად და ერთგულად ეწევა დაუღალავ მუშაობას საბჭოთა მთავრობასთან ერთად.

ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის დიდი დახმარება, რომელსაც გვიწევს მასწავლებლობა წითელი არმიის კულტურულად ამაღლების საქმეში. გასულ წელში გატარებულ ტერ-შეკრების დროს მასწავლებლობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ცვლებადებთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გატარებაში. ასეთივე სამსახურს უწევს მასწავლებლობა წვევამდელ ჰასაკის ახალგაზრდებს, რომლებიც მომავალში შეავსებენ წითელი არმიის რიგებს. წითელი არმია წარსულ წლებში ყოველთვის ღებულობდა წერა-კითხვის უცოდინარ ახალგაზრდების საკმაო რიცხვს, რომლის მოსპობა ძლიერ ძვირი უჯდებოდა და უჯდება წ. არმიის ორგანოებს. მომავალში იმედი უნდა ვიქონიოდ, რომ გამოსწორდება ეს ნაკლი მასწავლებლობის დახმარებით და სამხედრო ბეგრის მომხდელი პირი—მუშისა და გლეხის შვილი მოვა წითელ არმიაში წერა-კითხვის კარგად მცოდნე. ამითი კი მასწავლებლობა ხელს შეუწყობს იმ წითელი არმიის მომავალ აღმშენებლობას და სწრაფ წინსვლას, რომელიც ფხიზლად დარაჯობს მშრომელი ხალხის მონაპოვარს—საბჭოთა ხელისუფლებას.

ჩვენი მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს და უსურვებთ მათ მომავალში კიდევ უფრო ნაყოფიერ მუშაობას ახალგაზრდობისა და მოზრდილების სოციალისტური და კომუნისტური სულით აღზრდის საქმეში.

## „ჯამი გაკეთებულია"

### „პრავდა"-ს წერილი.

ამ სათაურით გაზეთ „პრავდაში" მოთავსებულია მოწინავე, რომელშიაც ნათქვამია:

„საკავშირო კომუნისტურ პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ გადაჭრით დაჰგმო უკანასკნელი ოპოზიციური მიმართულება, რომელსაც დაეტყო გადახვევა ლენინურ ხაზისაგან.

ყრილობის დიდ უმეტესობასა და მის მიერ წარმოდგენილ პარტიულ მასებს არ შეეძლოთ დაეჯერებიათ და არც დაიჯერეს, რომ ლენინგრადის დელეგაცია, რომელმაც ისე აშკარად გამოსთქვა ყრილობაზე თავისი უთანხმოება პარტიის ლენინურ პოლიტიკასთან, გამოხატავდა ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციების ფართე ფენების აზრსა და შეხედულებებს.

ჯერ კიდევ ლენინგრადის ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და ლენინგრადის დელეგაციის საქციელის შედარებიდან ყრილობაზე აშკარად ჩანდა, რომ ლენინგრადის პარტიული მასები, რომლებსაც არ მიუციათ დელეგაციისთვის ნაკაზი" (დარიგება) ეწარმოებიათ ბრძოლა ცეკასა და ყრილობის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, რომლებმაც გამოსთქვეს სრული ნდობა ცენტრალურ კომიტეტისადმი, შეყვანილ იქნენ ოპოზიციის ხელმძღვანელების მიერ შეცდომაში. საკავშირო კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული შეიქნა მიემართა პირდაპირ ლენინგრადის ორგანიზაციის მასებისთვის მათ ხელმძღვანელების გვერდის ავლით.

ლენინგრადის საგუბერნიო საგანგებო პარტკონფერენციამ ჯამი გაუკეთა განმარტებითი კამპანიას.

მან დაჰგმო ოპოზიციის იდეიური ხაზი და ხაზი გაუსვა ახალი ოპოზიციის კავშირს ჩვენი პარტიის წინანდელ გადახრებთან.

ორგანიზაციის ყველა ძალები ლენინიზმის შესასწავლად და ლენინის საქმის გასაგრძელებლად. მთელი ღონისძიებანი ცოცხალი კავშირის გასაძლიერებლად მთელს პარტიასა და მის წარმომადგენელ ცენტრალურ კომიტეტთან; ძლიერი ენერგიული მუშაობა პარტიული აპარატის გამოცოცხლებისა და მასებთან მისი კავშირის განმტკიცების საქმეში,—აი ის დირექტივები, რომლებიც მისცა პარტიულ კონფერენციებმა თავის ახლად არჩეულ ხელმძღვანელ ორგანოებს.

საკავშირო კომუნისტური პარტია სიხარულით აღნიშნავს, რომ მის პირველ რიგებში წინანდებურ მტკიცე ნაბიჯით და ლენინურ ტრადიციებისადმი წინანდებური ერთგულებით მიდიან წინ პროლეტარულ რევოლიუციონერთა ლენინური ათასეულები".

# ახალი რადიო ამბები

## „დიდი რუმინეთი" უარყოფს განიარაღებას.

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დუკამ განაცხადა, რომ ეროვნულად გაერთიანებული „დიდი რუმინეთი" მეტად დაინტერესებულია განიარაღების საკითხით. მაგრამ სანამ საბჭოთა კავშირი უარს ამბობს ერთა ლიგაში შესვლაზე და არ სცნობს რუმინეთის დღევანდელ საზღვრებს, რუმინეთი თავს იკავებს განიარაღებისაგან.

## უნგრელ ყალბი ფულის მოხელეთა საქმე.

უნგრეთის მთავრობის საგამომძიებლო კომისია ამაოდ ეცადა მიეღო ახსნა ყალბი ფულის მოხელეთა საქმეზე დაპატიმრებულ ნადოშისაგან. კომისიაში გამოცხადდა კიდევ ორიც სხვა ბრალდებული და განაცხადეს, რომ ისინი აცხადებენ „გაფიცვებს" და გამოძიებაზე პასუხს არ მისცემენ.

## უმუშევრობა გერმანიაში.

გერმანიაში ჩქარი ნაბიჯით იზრდება უმუშევრობა. გერნიის დედაქალაქ ბერლინში უკანასკნელ კვირის განმავლობაში უმუშევართა რიცხვს მიემატა 6.000 კაცი. სულ უმუშევართა რიცხვი აღწევს 233.000 კაცს.

## საგზაო საქმის საერთაშორისო ყრილობა

იტალიის მთავრობამ მიმართა გზათა სახალხო კომისარიატს, რომ სექტემბერში მილანში გაიხსნება საგზაო საქმეს მეხუთე საერთაშორისო ყრილობა და სთხოვს საბჭოთა მთავრობას გაგზავნოს ყრილობაზე თავისი წარმომადგენლები.

## პოლონეთის ციხეების ჯოჯოხეთური რეჟიმის წინააღმდეგ

უკრაინის ვექილთა ერთმა ჯგუფმა მიმართა ყველა ქვეყნების ვექილებს ღია წერილით, რომელშიაც ისინი ადასტურებენ ლვოვის ციხეში პოლიტიკურ პატიმართა ცემისა და წამების მაგალითს.

წერილი მოუწოდებს გამოვიდენ პროტესტით პოლონეთში წარმოებულ უკანონობის წინააღმდეგ, რათა შემსუბუქებულ იქნას პოლონეთის ციხეების აუტანელი რეჟიმი.

## ოსმალეთ-საბჭოთა ხელშეკრულება მოასწავებს მშვიდობიანობასა და აყვავებას.



რუშდი ბეი.

ოსმალეთის მთავრობაში ოსმალეთ-საბჭოთა ხელშეკრულების (ნეიტრალიტეტზე) გარჩევის დროს, საგარეო საქმეთა კომისარ ტევფიკ—რუშდი-ბეიმ განაცხადა:

„ხელშეკრულება ბუნებრივი შედეგია შექმნილ პოლიტიკურ ურთიერთობისა და მოასწავებს მშვიდობიანობასა და აყვავებას".

ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას შეეხო აგრეთვე ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში მუხტა-ბეი, რომელმაც განაცხადა რომ ხელშეკრულება კიდევ უფრო ამტკიცებს გულითად ურთიერთობას ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელსაც ჩაეყარა საფუძველი ოსმალეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დადებით მოსკოვში.

## სტამბოლიდან ანგორაში

ოსმალეთში მყოფ უცხოეთის საელჩოებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობას გადააქვთ თავისი სამყოფი ადგილი სტამბოლიდან ანგორაში.

## საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა პარიზში

პარიზში ჩავიდა საბჭოთა დელეგაცია საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციაზე დასასწრებლად.

დელეგაციას სადგურში შეხვდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში რაკოვსკი, საელჩოს მრჩეველი დავტიანი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საფრანგეთის დელეგაციის წარმომადგენლები.

# საქართველოში

## მრეწველობის საქონელი სოფელს

თელავის მთლიან მომხმარებელ საზოგადოებებმა მიიღეს ცეკავშირის საშუალებით 2 ვაგონი მანუფაქტურა, 29.000 ფუთი ნავთი, 30.000 ფუთი ქვამარილი, 500.000 კოლოფი ასანთი, 1.000 ფუთი საპონი და 2.100 ფუთი შაქარი.

## მევენახეობის აღსადგენად

თელავის მაზრის გლეხობა მოითხოვს სესხს საკრედიტო ამხანაგობიდან მევენახეობის აღსადგენად.

საკრედიტო ამხანაგობებს საკუთარი საშუალებით შეუძლიათ დააკმაყოფილონ მხოლოდ მოთხოვნილების ერთი მეათედი.

## თელავის მომხმარ. საზოგადოებების მუშაობა.

თელავის მაზრის მომხმარებელ საზოგადოებებმა 1925 წლის განმავლობაში დაამზადეს 120.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები: მატყლი, ღვინო, ხორბალი, ბამბა და სხვა.

# საბჭოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში.

## ტფილისის მაზრაში.

საარჩევნო კამპანია ტფილისის მაზრაში მიმდინარეობს ძლიერ ცოცხლად. ზოგიერთ თემებში არჩევნები უკვე დასრულდა.

**ერწოს** თემში უკვე დასრულდა სასოფლო და სათემო საბჭოს არჩევნები. 7 თებერვალს მოხდა თემაღმასკომის არჩევა.

**დიღომის** თემში არჩევნები სწარმოებდა 9 ადგილას. აირჩიეს ორი სასოფლო საბჭო: დიღომის და ლისის. სულ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის 80 პროც. არჩევნებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ ქალებიც. 14 თებერვალს მოწვეულ იყო სათემო საბჭოს სხდომა, რომელზედაც აირჩიეს სათემო აღმასკომი.

## ქუთაისის მაზრაში.

**მუხიანის თემი.** არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 77 პროცენტმა. სულ აირჩიეს 19 დეპუტატი. მათ შორის 3 ქალია და ერთი კ. პ. კანდიდატი.

**ცხუნკურის თემი.** არჩევნები დასრულდა. სულ აირჩიეს 67 დეპუტატი. აქედან 50 უპარტიოა. საბჭოში გავიდა 6 ქალი.

**მაღლაკის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 57 დეპუტატი. მათ შორის 7 ქალია და 7 პარტიული. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 55 პროცენტმა.

**ფარცხანაყანევის თემი.** არჩევნებში მოსახლეობა მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. სულ თემსაბჭოში აირჩიეს 53 დეპუტატი.

ქვმდა სიმონეთში სათემო საბჭო აირჩიეს 60 დეპუტატის შემადგენლობით.

## თელავის მაზრა.

**ფშაველის თემი.** დასრულდა სათემო საბჭოს არჩევა. საბჭოში გავიდა 30 დეპუტატი მათ შორის 12 პარტიულია და 18 უპარტიო.

**ზემო ალვანის თემი.** სათემო საბჭოში აირჩიეს 42 დეპუტატი. აქედან 6 ქალია და 33 უპარტიო.

## ლეჩხუმის მაზრა.

საარჩევნო სამზადისი დაიწყო მაზრაში 25 ნოემბრიდან და გაგრძელდა 1-ლ თებერვლამდე. მაზრა დაყოფილი იყო 15 საარჩევნო უბნათ. ყველა უბნებში მოწყობილია საარჩევნო კომისიები.

ყველა სოფლებში ჩატარებულ იქნა სააგიტაციო კამპანია. გლეხებს აძლევდენ ახსნა-განმარტებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ მონაწილეობას არჩევნებში.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული აღნიშნული კამპანიის ჩატარებას მოჯამაგირეებში, დელეგატ-ქალებში და ულარიბეს გლეხობაში.

## ფოთში.

ქალაქ ფოთის რაიონში შედის თვით ფოთი და ყულევის თემი. თვით ქალაქი დაყოფილია 18 საარჩევნო უბნათ.

საარჩევნო უფლების მქონეთა სია უკვე შესდგა, როგორც ფოთში, ისე ყველა უბნებში.

# სამხედრო საქმე.

## აირი და მისგან თავდაცვის საშუალებანი.

აირი საშიშარია მისთვის, ვისაც არ შეუძლია მისგან თავის დაცვა. როცა მსოფლიო ომში გერმანელებმა პირველად იხმარეს აირები საფრანგეთის ფრონტზე, ფრანგებმა დაჰკარგეს ხუთიათასზე მეტი მეომარი. ასევე მოხდა რუსეთის ფრონტზე, სადაც მთლიანად დაიღუპა ნაწილები, რომლებიც მოჰყვენ აირის იერიშის რაიონებში. ასეთი დიდი ზარალი მოხდა იმიტომ, რომ ფრანგების და რუსი ნაწილები არ იყვნენ მომზადებული აირის იერიშების შესახვედრად. შემდეგში იმავე ომში ზარალი აირებისაგან რამოდენიმედ შემცირდა, და ზარალს განიცდიდა ის ნაწილები, რომლებიც ყურადღებას არ აქცევდენ აირის საწინააღმდეგო საშუალებათა ხმარებას. მომავალ ომებში მოპირდაპირეები, უეჭველია, იხმარებენ შხამიან აირებს. ამიტომ საჭიროა წინასწარ მომზადება, რომ კარგად შეგვეძლოს მათ წინააღმდეგ ბრძოლა და თავდაცვა. რაში გამოიხატება თავდაცვა?

ქიმიის საწინააღმდეგო საშუალებანი პირველყოვლისა იყოფა: პირად (ინდივიდუალურ), ჯგუფურ (კოლექტიურ) და დამხმარე საშუალებად.

პირად ქიმიის საწინააღმდეგო საშუალებას ეკუთვნის სხვა და სხვა გვარი აირმსპობი (ცხენის, მეომრის), სპეციალური ტანისამოსი (აქ შედის ფეხსაცმელი და ხელთათმანი) და სხვა და სხვა საცხი სხეულზე წასასმელად.

ჯგუფურ საშუალებას ეკუთვნის თავშესაფერი, ბინა, ბლინდაჟი, რომლებიც მოწყობილია ისე, რომ აირს არ უშვებენ შიგნით.

დამხმარე ქიმიის საწინააღმდეგო საშუალებას ეკუთვნის სხვა და სხვაგვარი ქიმიური შემადგენლობა და ნივთიერება, რომლებიც უვნებელჰყოფს მომწამლავ ნივთიერებას (მაგ. ქლორის კირი).

მაგრამ მღნიშნულ საშუალებათა გარდა არიან კიდევ სხვები, რომლებიც საკმაო კარგად იფარავენ აირისაგან. ამ ზომებს მიეკუთვნება აირის დისციპლინა, რომელიც მდგომარეობს ქიმიური სამსახურის წესრიგის ასრულებაში.

ბოლოს, რომ თავიდან აიშორო აირები, უნდა ეცადო თავის დროზე შეაჩერო მოპირდაპირის ქიმიური თავდასხმა, რისთვისაც საჭიროა ან გაანადგურო ყველა მისი ქიმიური საშუალებანი, ან თვითონ უნდა დაასწრო და დაესხა თავს. არტილერია ყველაზე უფრო ადრე და ადვილად გაანადგურებს მოპირდაპირის აირის ბალონებს, მას შეუძლია ჩააჩუმოს მტრის არტილერია, რომელიც ისვრის აირიან ყუმბარებს. ბოლოს, ჩვენს ავიაციას შეუძლია თავის მოქმედებით ისე დაარღვიოს მტრის ზურგი, რომ ხელი შეუშალოს მის მზადებას ქიმიურ თავდასხმისთვის.

ამრიგად აირისაგან თავდასხმის საშუალებანი საკმაოდ ბევრია. მთელი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა შეგეძლოს მათი გამოყენება და პირველყოვლისა უნდა იცოდე შენი აირმსპობი და მისი ხმარება.

პ.

## შენიღბვა გამარჯვების მთავარი პირობაა.

### როგორ უნდა სწარმოებდეს გადარბენა.

ასე დავაყენოთ საკითხი და შევეცადოთ მის გარჩევას: როგორ უნდა აწარმოოს მსროლელმა გადარბენა, რომ ნაკლებად შეამჩნიოს ის მოპირდაპირის მოთვალთვალემ.

წინა წერილებიდან ჩვენ ვიცით, რომ შორი მანძილიდან მსროლელი მოსჩანს იმიტომ, რომ ის აქნევს ხელებს და გადარბენის დროს საგრძნობლად მოძრაობს მთელი სხეულით. შეიძლება თუ არა გვერდი აუხვიოს მსროლელმა ასეთ მოძრაობას, რომ ნაკლებ შესამჩნევი გახდეს. რასაკვირველია შეუძლია. საკმარისია არ ამოძრაოს ხელები და გაირბინოს არა გრძელი, არამედ მოკლე ნაბიჯებით. გრძელი ნაბიჯი ხომ მიზეზია იმის, რომ მსროლელი ძლიერ ქანაობს მარჯვნივ და მარცხნივ. გადარბენის დროს უნდა ეცადო ახლოს იყო დახრილი მიწასთან, ნაკლებ აქნიო ხელები და იმოძრაო მოკლე ნაბიჯით ყოველ მანძილზე.

ყოველგვარი მოძრაობა, რომელიც სწარმოებს სხეულის ნაწილებითა და შაშხანით გადარბენის დროს, უნდა გამოიხატებოდეს შემდეგში: უნდა ადგე გადარბენის წინ საკმაო ჩქარა ზედმეტი მოძრაობის გარეშე. გადარბენის დროს უნდა ეცადო დაბლა დახარო თავი და არ ამოძრაო ხელები. დანიშნულ ადგილის მიღწევისას სწრაფად უნდა გაწვე მთელი სხეულით და შაშხანით. თვით გადარბენა უნდა იყოს სწრაფი და მოკლე.

თუ რომ ყოველივე ეს ასრულებულ იქნება, მსროლელი უზრუნველყოფს თავს მტრის განუწყვეტელი თვალთვალისაგან, ხოლო მეტ შემთხვევაში მტერი სავსებით ვერ შეამჩნევს მას.

ამას გარდა მსროლელს უნდა ახსოვდეს, რომ მწოლიარ მდგომარეობაშიაც კი შეიძლება მისი დანახვა ახლო მანძილზე, ხოლო განსაკუთრებით მაშინ, როცა მსროლელი არ წევს მშვიდად, ბრუნავს გვერდიდან გვერდზე და სხვა. აქ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დაწოლის დროს საჭირო არაა ამოძრაო ხელები; უნდა ეცადო რაც შეიძლება მშვიდად და მჭიდროდ იწვე მიწაზე. თუ რომ ახალ ადგილზე გადარბენის შემდეგ უნდა გახსნა ცეცხლი, უნდა ეცადო, რომ როგორც სხეულის, ისე ხელების ზედმეტ მოძრაობას გვერდი აუხვიო. მაგ. გინდა ჩააწყო თოფში ვაზნები. ამისთვის ცოტათი უნდა წამოიწიო წელს ზევით და რამოდენიმედ უნდა წამოწვე მარცხენა გვერდზე; შემდეგ არ უნდა ასწიო ხელი მაღლა, ისე უნდა ამოიღო მარჯვენა ხელით ვაზნები და ჩააწყო თოფში. ამასთან არას დროს არ უნდა დაეყრდნო მარცხენა ხელის ნიდაყვს, როცა გვერდზე ბრუნდები. თუ რომ ყოველივე ეს დაცულ იქნება მსროლელის მიერ, მას ნაკლებად შეამჩნევს მტერი და მეტ შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნება მტრის ტყვიისაგან,

ი. ბ.

# წითელი არმიის აღშენებლობა 8 წლის განმავლობაში.

## ოქტომბრის რევოლიუციის პირველ ხანებში.

საბჭოთა ქვეყანა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ პირდაპირ გაშიშვლებულ იქნა თავით-ფეხამდი შეიარაღებულ მტაცებელთა წინაშე; მხოლოდ ამ მტაცებელ სახელმწიფოებ შიგნით წინააღმდეგობანი და მშრომელთა რევოლიუციური აღტყინება აჩერებდა მსოფლიო ბურჟუაზიის პირდაპირ შემოტევას. წითელი გვარდიის სტიქიურად შექმნილი და ცუდად გაწვრთნილი ნაწილები, მიუხედავად რევოლიუციური აღტყინებისა, ცხადია, ვერ შეაჩერებდენ იმპერიალისტურ სახელმწიფოების თანამედროვე არმიებს, რომლებიც ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევით იყვნენ შეიარაღებული და გაწვრთნილი.

1918 წლის 15 იანვარს გამოცემულ იქნა დეკრეტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა წითელ არმიას. პირველ ხანებში სწარმოებდა ნებაყოფლობითი შეკრება. მობილიზაციაზე ფიქრი ზედმეტი იყო, ვინაიდან სახელმწიფოს აპარატი კიდევ სუსტი იყო. ნებაყოფლობითი წესი პირველ ხანებში გამართლებულ იქნა.

## ძველი არმიის ნანგრევებზე.

წიწეულ არმიაში გაწვევას გამოეხმაურა მუშებისა და ღარიბ გლეხობის საუკეთესო ფენები. დარღვეულ ძველმა არმიამ გამოჰყო თავისი საუკეთესო ძალები. ეს ძალები მკერდით იცავდენ სხვადასხვა კონტრ-რევოლიუციურ გენერლების შემოტევას. ყველგან იზრდებოდა ელვის სისწრაფით წითელი მოხალისე რაზმები, რომლებიც იცავდენ საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ რაიონებს გარშემორტყმულ კონტრ რევოლიუციისაგან. განუწყვეტელ და სასტიკ ბრძოლებში ეს რაზმები თანდათან ყალიბდებოდენ წითელი არმიის ძლიერ, შეკავშირებულ ნაწილებად.

მაგრამ იყო დამარცხებები, იყო ღალატიც. მხოლოდ მშრომელთა არაჩვეულებრივი აღტყინება ბოლშევიკურ პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით იძლეოდა წინსვლის საშუალებას დასახულ მიზნისაკენ.

მაგრამ ნებაყოფლობით იწესი ვერაა საიმედო წყარო არმიის შევსებისათვის. სამოქალაქო ომის გარემოება დაუყონებლივ მოითხოვდა რეალურ შეიარაღებულ ძალის შექმნას, რომელსაც შეეძლებოდა პასუხი გაეცა თეთრი არმიების შემოტევისათვის. 1918 წლის 8 აპრილის დეკრეტმა სამხედრო კომისარიატების შექმნის შესახებ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რეგულიარული წითელი არმიის ჩამოყალიბებას.

მეთაურთა შემადგენლობის საკითხი, რომელიც ისე მწვავედ იდგა, გადაჭრილ იქნა ყოფილ ოფიცრების მიწვევით, რომლებმაც განაცხადეს სურვილი ემსახურათ საბჭოთა არმიაში; შექმნილ იქნა კომისართა თანამდებობა.

## საბჭოთა ქვეყანა კონტრ-რევოლიუციის რკალში.

მთელი ეს უზარმაზარი და რთული მუშაობა ჩატარებულ იქნა შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციის სასტიკ შემოტევის განმავლობაში.

შეჩერდა თუ არა გერმანელების შემოტევა, თავი წამოყვეს ჩეხო-სლოვაკებმა, რომლებსაც ხელს უწყობდა ინგლის—საფრანგეთის ბურჟუაზია და რომელიც დიდი საფრთხის ხასიათს ღებულობდა საბჭოთა ძალა-უფლებისათვის. ჩრდილოეთში ჯარები გადმოსხეს ინგლისელებმა, ფრანგებმა და ამერიკელებმა. დონზე თავი წამოჰყო კრასნოვმა, ყუბანზე—დენიკინმა. საქართველოში გერმანელების ხიშტების დახმარებით, გამაგრდა მენშევიკები. შავი ზოლით მოწყვეტილი იყო თურქესტანი. საბჭოთა ქვეყანა ცეცხლის რკალში იყო მოქცეული...

მაგრამ ეს მრისხანე საშიშროება აძლიერებს და ამტკიცებს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგობას. მთელს ქვეყანაში სდუღს მუშაობა წითელი არმიის გაძლიერების საქმეში. ბოლშევიკების პარტია ათასობით აგზავნის ფრონტებზე თავის წევრებს, რომელთაც შეაქვთ ჯარის რიგებში აღფრთოვანების ცეცხლი და განუდრეკი სიმტკიცე. და შედეგად საბჭოთა რესპუბლიკა გაწმენდილ იქნა ყველა ჯურის თეთრგვარდიელთაგან.

1922—23 წლები მიდიან დემობილიზაციის პირობებში და წარმოადგენენ გარდამავალ საფეხურს მშვიდობიან აღმშენებლობისა და სწავლისაკენ. მაგრამ ბრძოლის უნარიან და ძლიერი არმიის შექმნას წინ ეღობება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა და სიღარიბე. ეს იწვევს ეკონომიის აუცილებლობას ხარჯებში. მეორეს მხრივ რომ გაწვრთნილიყო წითელი არმიის რიგებში მთელი ახალგაზრდობა, საჭირო იქნებოდა ერთი ორად გადიდებულიყო მშვიდობიან დროს არმიის რიცხვითი შემადგენლობა (562.000 კაცი)

## რატომ გადავედით მილიციურ სისტემაზე.

ჩვენ გადავდივართ მილიციურ სისტემაზე. ამით ჩვენ უმსუბუქებთ მოსახლეობას სამხედრო ბეგრის მოხდასა და ჯარის შესანახად საჭირო ხარჯებს. მუშაობა, რომელსაც აწარმოებს კადრის პოლიტიკური შემადგენლობა ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობასთან წარმოადგენს საუკეთესო ფორმას ქალაქისა და სოფლის დაახლოების საქმეში.

ტერიტორიალური ჩამოყალიბება აჩქარებს მობილიზაციას და ამარტივებს სამხედრო მმართველობის წესებს. მშრომელები სამხედრო საქმის სასწავლად არ სწყდებიან დიდი ხნით ყოველდღიურ შრომას, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერებას და აუმჯობესებს მშრომელთა მდგომარეობას. ტერნაწილების შენახვა სახელმწიფოს გაცილებით იაფი უჯდება, ვიდრე კადრი ნაწილების.

ჩვენ არ შეგვიძლია ასივე პროცენტით გავატაროთ მილიციური სისტემა. ჩვენ იძულებული შევიქენით გვყოლოდა ტერიტორიალურ დივიზიების გვერდით ძლიერი კადრის ნაწილებიც. ამას გვიკარნახებს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, უმცროს მეთაურთა და წითელ არმიელთაგან უფროსების მომზადების აუცილებლობა. ომის შემთხვევაში შეიარაღებულ მეომართა დიდი რაოდენობა მოითხოვს მეთაურების სათანადო რაოდენობას. ჩვენი კადრი და სამხედრო სასწავლებლები ვერ დააკმაყოფილებენ სათანადოდ ამ მოთხოვნილებას. ჩვენს წინაშე იბადება საკითხი ახალ უფშემადგენლობის მომზადებისა ჯარის გარეშე წესით.

## უნდა გავაძლიეროთ ქვეყნის ბრძოლის უნარიანობა.

ყოველივე ლაპარაკი განიარაღებაზე და, კერძოდ, ლოკარნოს სამშვიდობო კონფერენცია თავისი „საუზრუნველყოფო ხელშეკრულებით" ნიშნავს არსებითად ძალების დაყენებას ახალი ომისთვის. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა „მიღებულ იქნას ყველა ზომები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისა და წითელი არმიისა და საჰაერო-საზღვაო ფლოტების გაძლიერებისთვის".

სამხედრო ტეხნიკის განვითარება, მრეწველობის გასამხედროების გაფართოვება, მთელი მოსახლეობის სამხედრო მომზადება—აი ყველაფერი ის, რომელიც საშუალებას მისცემს წითელ არმიას გასცეს სათანადო პასუხი ყველას, ვინც კი განიზრახავს ჩვენი მშვიდობიანი შრომის დარღვევას.

მ. შ—ი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## პარტ-საქმეების ტეხნიკურად მოგვარება.

შეიძლება ზოგიერთების აზრით პარტ-პირად საქმის მოგვარება უმნიშვნელო რამე იყოს პარტ-ორგანიზაციისთვის, რომელიც ადგილობრივ ივსება და იქვე ინახება. ამ საკითხზედ რამოდენიმე წერილიც იყო მოთავსებული გაზეთ „წ. არმიელში", სადაც მიუთითებდენ ადგილობრივ ორგანიზაციებს გამოესწორებიათ თითქოს ეს უბრალო შეცდომები. მაგრამ საუბედუროთ, დღესაც შეხვდებით პარტ-პირად საქმის მოუწესრიგებელ შემთხვევებს, რაც ყოვლად დაუშვებელია და დიდ ნაკლადაც უნდა ჩაეთვალოს ჩვენს ორგანოებს.

1-ლ დივიზიის მე-5-თე პარტ-კონფერენციამაც ხაზი გაუსვა ამ ნაკლს და შეიტანა ერთი მუხლი დადგენილებაში პარტ-საქმეების ტეხნიკური მოგვარების შესახებ. აშკარაა, რომ ეს კითხვა კონფერენციას არ მიეჩნია საყურადღებოდ, მასზედ არ გამოიტანდა დადგენილებას.

როგორ უნდა იქნეს მოგვარებული პარტ-საქმე. პარტ-საქმის მოგვარებას და შევსებას გამოუცდელი პიროვნება ვერ შესძლებს, მას სჭირდება გამოცდილი ხელი, რომ ყველა წვრილმან კითხვებზედ იქნეს სათანადო პასუხი გაცემული. ყველა ის წვრიმანი კითხვები, რომელიც აღნიშნულია პასუხის გასაცემათ საკანდიდატო ანკეტაში ფორმა 27., სრულიად რუსეთის აღწერა ფორმა „ა" და სააღრიცხვო ფურცელი ფორმა 6-ში.

ყველა ამ კითხვებზედ პასუხის გაცემით ორგანიზაციას საშვალება ეძლევა სრული წარმოდგენა იქონიოს პარტ-პირადი საქმის მქონე ამხანაგებზედ.

ამ საქმის მოსაგვარებლად საჭირო იქნება დავიწყოთ თავიდან; პირველად, როდესაც პარტიის კანდიდატად შემოდის რომელიმე ამხანაგი, ის სწერს ავტობიოგრაფიას, რომელსაც ადასტურებს თავის თემის მდივანი ან ნაწილის სამხედრო კომისარი და ორი რეკამენდატორი უწერს ხელს მასზედ. შემდეგში ავსებს საკანდიდატო ანკეტას ფორმა 27-ს, მხოლოდ ამ უკანასკნელის შევსება პარტიაში ახლად შემოსვლელ ყველა პირს, არ შეუძლია რადგან იქ დაახლოებით ორმოცამდე კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. ამ შემთხვევაში უჯრედის მდივანი ვალდებულია შეუვსოს ის, და თუ ისიც ვერ შეძლებს, იმ შემთხვევაში მასზედ მეტ-მომზადებულ ამხანაგს უნდა გადასცეს შესავსებათ.

ასევე ითქმის ფორმა „ა"-ზედ და ფორმა 6-ზედ). ამას შემდეგ კანდიდატად შემომსვლელი სწერს განცხადებას, და რეკომენდაციებით შევსებულ ანკეტასთან და ავტობიოგრაფიასთან ერთად შეაქვს უჯრედში. უჯრედის მდივანმა უნდა გადაათვალიეროს შემდგარი საქმე და თუ ნაკლი ნახა უკან დაუბრუნოს შესასწორებლად.

უჯრედში როგორც კი შევა განცხადება და საქმეები კანდიდატად მიღების ან წევრად გადარიცხვის შესახებ, იმ დღესვე უჯრედის მდივანი ადგენს განცხადებას გაზეთისათვის (მე-5-ე პარტკონფერენციის დადგენილება) და განსაზღვრულ დრომდის უცდის პასუხს ანუ „ოტვოდს". რის შემდეგ საქმეს არჩევენ უჯრედის კრებაზედ.

შემდეგში ნაწილების ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტ-პირადი საქმეების შედგენას. არ უნდა დავივიწყოთ პარტ-პირადი საქმის მოწყობა-მოგვარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ის გამოხატავს ორგანიზაციის საერთო საქმიანობას.

ს. ლომიძე.

## უახლოვდებით წითელ არმიელებს

ცხენ. ლეგიონი.

12 თებერვალს შესდგა ლეგ. პირველი ესკადრონის კომუჯრედის გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოხდა თებერვლის თვის სამუშაო გეგმის და ცირკულიარის განხილვა.

გეგმა მუშაობის შესახებ ერთხმად იქნა მიღებული. შემდეგ შეუდექით პოლიტ-განყოფილებიდან მიღებული ცირკულიარის განხილვას. კამათი და აზრთა გაცვლა გამოცვლა გამოიწვია იმ საკითხმა თუ როგორ შეიძლება წითელ არმიელები სულიერი მდგომარეობის გაგება და ისე მიდგომა, რომ შესაფერი ნაყოფი მივიღოთ მათთან მეცადინეობის დროს.

აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, რომელშიდაც მრავალ ამხანაგებმა მიიღეს მონაწილეობა წითელ არმიელების შესწავლის შესახებ შესაფერი აზრი იქნა გამოტანილი. თითეულ პარტ წევრს და ახკომკავშირელს დაევალა ენერგიულად მოკიდონ ხელი ამ დიდ საქმეს შეგროვონ შესაფერი ცნობები.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## ჩვენი მუშაობა.

1-ლი არტლეგ. 4-ხე საგ. ბატარეია.

11 თებერვალს 1-ლი არტლეგიონის 4-ხე საგაუბიცო ბატარეიაში შესდგა ახკომკავშირის კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება ორგანიზატორის მიერ მისი მუშაობის შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა კავშირს დიდი პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა უწარმოებია ბატარეიის ყველა ლენინის კუთხეებში არსებულ ბირთვებში. არც ერთ მუშაობის დარგში არ ყოფილა სისუსტე, ადგილი არ ჰქონია დისციპლინის დარღვევის შემთხვევას. მთელი ამ ხნის განმავლობაში ყოფილა გეგმიანი მუშაობა. სისტემატიურად ხდებოდა კრებები და სწარმოებდა უპარტიო ამხანაგების კავშირის წევრებად მიღება. ძველი ამხანაგი კომკავშირელები თითქმის ყველა გადურიცხავთ პარტიის კანდიდატებათ.

კრებამ ერთხმად დამაკმაყოფილებლად სცნო ორგანიზატორის მუშაობა და იმედი გამოსთქვა, რომ მომავალში ის კიდევ უფრო ნაყოფიერად იწარმოებს.

სამხკორი ა. კაზაროვი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ექსკურსია ისტორიული ნაშთის სანახავად.

3-მე ლეგიონი.

7 თებერვალს ლეგიონის მთელი შემადგენლობა გაემართა ბაგრატის ტაძრის ნანგრევების დასათვალიერებლად. დიდი ხანია გადაწყვეტილი გვქონდა ეს, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხეთ. წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არ ქონდა, რადგან ადგილობრივ გავეცნობოდით ტაძრის ისტორიას და თვალნათლივ ვნახავდით ყველაფერს, ექსკურსიას ხელმძღვანელობდა ამხ. დგებუაძე. რომელიც დაწვრილებით გვიხსნიდა თუ როგორი საშვალებით სწარმოებდა ძველად ასეთი უზარმაზარი შენობების აგება.

ერთად ერთი საშვალება იყო ყმა—გლეხები, რომლებსაც ათასობით დაახვევდენ ჩვენი მეფეები და თავადები საქმეს და უმოწყალო ყვლეფით ასრულებდენ თავის საქმესო. მრავალი საყურადღებო შეკითხვები მისცეს წითელ არმიელებმა ამხანაგს. ყველას სურდა დაწვრილებით გასცნობოდენ ისტორიულ ცნობებს.

საერთოდ ტაძარმა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზე. დასასრულ იქვე გაიმართა ცეკვა-თამაში და სიმღერები.

კარგი იქნება ხშირად მოაწყობდენ ჩვენი მესვეურები ასეთ ექსკურსიებს.

სამხკორი ფ. ბიკაშვილი.

## ვეცნობით რუსულ ნაწილების ცხოვრებას.

მეთაურთა პოლიტსკოლა რუსულ სანაპირო სკოლაში.

14 იანვარს სკოლის მთელი შემადგენლობა გაემგზავრა რუსულ სანაპირო სკოლის დასათვალიერებლად, რომლებმაც დიდი სიხარულით მიგვიღეს. სკოლის ეზოშივე გაიმართა მიტინგი. სიტყვებით გამოვიდენ როგორც რუსი ისე ქართველი ამხანაგები და აღნიშნავდენ თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ერთმანეთთან დაახლოებას.

შემდეგ სკოლის შემადგენლობა დაიყო ხუთ ჯგუფად სკოლის სხვა და სხვა ლაბორატორიების, სამოსწავლო კაბინეტების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოსი, კლუბის და კურსანტების საერთო საცხოვრებელ ბინების დასათვალიერებლად. თითეულ ჯგუფს თან ახლდა ორ-ორი რუსი კურსანტი და თითო ლექტორი საჭირო ახსნა-განმარტების მისაცემათ.

დიდი ყურადღება მიიპყრო სანაპირო საქმის ლაბორატორიამ. აქ ვინახულეთ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე კონტრაბანდისტების წინააღმდეგ მოქმედი რაზმების ადგილმდებარეობა რუკაზე და აგვიხსნეს ყველა ის საშვალებები, რომლითაც ებრძვიან ამ მოვლენას. აქვე ვნახეთ სურათები ამ რაზმების ცხოვრებიდან. ვნახეთ დიაგრამები დაჭერილ კონტრაბანდის რიცხვის შესახებ. ყველა შეკითხვებზე ვღებულობდით სათანადო ახსნა-განმარტებებს.

დათვალიერებული იქნა შემდეგი ლაბორატორიები: ტაქტიკის, ტოპოგრაფია—ადმინისტრაციის, სროლის, საკავშირო, ტეხნიკური, საერთო განათლების და პარტ-პოლიტგანათლების. ლაბორატორიები და სამოსწავლო ოთახები საუცხოვოდ არიან მოწყობილი. ყოველგვარი პირობებია დაცული პრაქტიკული მეცადინეობის ნაყოფიერად წარმოებისათვის.

ძლიერ დაგვაინტერესა აგრეთვე ტფილისის მოდელმა თვისი ქუჩებით. მოდელს ის მნიშვნელობა აქვს, რომ კურსანტები თვალნათლივ ეჩვევიან თუ ქუჩებში როგორ უნდა იწარმოოს სამოქალაქო ომში და რა დაწესებულებებს უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება. ასე განმარტა იმ ამხანაგმა, რომელიც გვახდა.

ტეხნიკურ ლაბორატორიაში თვალსაჩინოთ არის მოწყობილი ჰაირის საქმე; მაგალითად, შუშის კოლოფში არის ხელოვნურად გაკეთებული მიწიდან მოდელი, ველის, ორმოსი, სანგარი, ტყის, წყალის და მთების; ხვრელის საშვალებით აღნიშნულ კოლოფში უშვებენ ჰაირს, რომელიც ფარავს სულ ნაჩვენებ ადგილმდებარეობას, მხოლოდ მთის სიმაღლეზე იფანტება აქეთ-იქეთ.

სამი საათი დათვალიერების შემდეგ თავი მოვიყარეთ კლუბში, სადაც სკოლის უფროსი ამხ. კონოროვმა გახსნა კრება და სიტყვა სკოლის სამოსწავლო საქმის დაყენების ირგვლივ მიეცა სამწყობრო ნაწილის უფროსს ამხ. კალიაკინს, რომელმაც გააცნო ამხანაგებს, ე. ი. თუ რა და რა დარგ მეცადინეობას გადიან, საერთოდ სკოლაში, რას ექცევა ყურადღება და როგორია მიღწევები. საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კონოროვმა, რომელიც შეეხო სკოლის მოკლე ისტორიას, მის დანიშნულებას როგორც სპეციალურ დარგში—სანაპირო საქმე, აგრეთვე ამხანაგმა აღნიშა, რომ სკოლაში გადიან ქართულ, სომხურ, თურქულ და უკრაინულ ენებს და სხვა.

დასასრულ სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა ჩვენი სკოლიდან ამხ. მენაბდემ და 1 საათზე კმაყოფილი დავბრუნდით ყაზარმაში.

ჯ. ქუთელია.

## საკავშირო კომისიის მუშაობა.

3-ე ლეგიონი.

10 თებერვალს შესდგა მესამე ლეგიონის საკავშირო კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრო რუსული არტლეგიონის წარმომადგენელიც.

კრებაზე მოსმენილი იქნა ინფორმაციული მოხსენება კომისიის მუშაობის შესახებ, განსაკუთრებით სოფლებთან კავშირის დამყარების შესახებ.

გამოირკვა, რომ სოფ. წყალტუბოსთან გვაქვს მტკიცე კავშირი, სადაც იგზავნება რვეულები, ფანქრები და სხვა სამოსწავლო ნივთები; მომხსენებლები კამპანიის ჩასატარებლად—სათანადო ლოზუნგებით, პლაკატებით და სხვა. სოფელს სისტემატიურათ ეგზავნება აგრეთვე ჟურნალ-გაზეთები. ასევე ხდება სოფ. ბეკამთან, მაგრამ სოფ. ბეკამი არავითარ პასუხს არ გვაძლევს მიუხედავათ იმისა, რომ არა ერთხელ გაუგზავნეთ საინსტრუქტორო წერილები—დირექტივები და სხვა. უკანასკნელათ მივმართეთ სურამის ალმასკომს, რათა გვაცნობოს ღებულობს თუ არა სოფელ ბეკამი ჩვენს მიერ გამოწერილ ჟურნალ-გაზეთებს, სასწავლო ნივთებს ღარიბ მოწაფეთათვის და სხვა, მაგრამ პასუხი ჯერ-ჯერობით არ არის. ჩვენი უჯრედი და ა. ლ. კ. კ. ჯგუფი დაკავშირებულია წყალტუბოს უჯრედთან და ჯგუფთან მოწყობილია წყალტუბოსში სამხედრო კუთხეც.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენება სამხედრო ნაწილებთან კავშირის შესახებ.

ჩვენ კავშირი გვქონდა 5-ე ლეგიონთან, რუსულ არტლეგიონთან და სხვა. მათთან ერთად ვარჩევთ სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვებს, ვდგამთ წარმოდგენებს საერთო ძალებით, ერთი მეორეს ვაცნობდით ჩვენს მუშაობას.

კავშირი გვაქვს აგრეთვე სამხედრო სკოლასთან და „ვისტორილ"-თან.

მომავალი მუშაობის სამთვიანი გეგმის გამომუშავება.

კომისიამ გაზაფხულის მოახლოების გამო დაადგინა მოხდეს სოფ. წყალტუბოს წით. არმიელების ღარიბი ოჯახების აღრიცხვა, რომ გამორკვეული იქნას მათი მდგომარეობა და დახმარება გაუწიოთ. უნდა გაძლიერდეს გაზეთებისა და სხვა სამოსწავლო ნივთების გზავნა ღარიბ მოწაფეთათვის დასარიგებლად. ვინაიდან სოფელი ბეკამი ძლიერ დაცილებულია ჩვენგან, არ შეგვიძლია ფიზიკური დახმარება გაუწიოთ, ამიტომ დაევალოს ერთ-ერთ ამხანაგს გაემგზავროს ადგილობრივ და წაიღოს სამოსწავლო ნივთები, მოწვიოს გაერთიანებული კრება და გააკეთოს მოხსენება „კავშირის მნიშვნელობაზე".

კომისიისაგან უმთავრესი ყურადღება მიექცეს საშეფო სოფლების გასამხედროებას და სამხედრო კუთხის მოწყობას რუსულ არტ-ლეგიონთან ერთად.

სისტემატიურად იგზავნებოდეს მომხსენებლები სხვა და სხვა კამპანიების ჩასატარებლად სათანადო ლოზუნგებით და პლაკატებით.

წ. არმიის 8 წლის და საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავის აღსანიშნავი დღე ჩატარებული იქნას სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად.

გაღრმავდეს კავშირი არტლეგიონთან, 5-ე ტერ ლეგიონთან და ქუთაისში მდგომ ნაწილებთან ურთიერთ გამოცდილების გაზიარების მიზნით.

სამხკორი გ. ჭელელი.

## მტკიცედ ვასრულებთ დავალებებს.

მე-4 ლეგ. მე-9 ასეული.

ჩვენი ასეული ენერგიულად ასრულებს ყველა იმ დავალებებს, რომელიც გამოიხატება ტერ-სისტემის გატარების ნაყოფიერად დაგვირგვინებაში. ამ საქმეს ერთნაირი გულმოდგინეობით ეკიდება ასეულის მთელი შემადგენლობა.

ასეულს მჭიდრო კავშირი აქვს მთელ თავის ცვალებად შემადგენლობასთან და აწარმოებს ახლო-მახლო სოფლებში კულტურულ და პოლიტიკური ხასიათის მუშაობას. მოწყობილი გვაქვს სოფლებში სამხედრო კუთხეები. შევქმენით მოძრავი თეატრი სოფლებისათვის. ამ მუშაობაში შევძელით თვით გლეხობის ჩაბმა და ხელი-ხელ ჩაკიდებული მივილტვით ამ დიდი საქმის საერთო ძალით გაკეთებისაკენ.

მიუხედავად ძლიერი „ყინვებისა და ქარბუქისა ასეულის შემადგენლობა მაინც გადის სოფლებში და აკეთებს თავის საქმეს.

უკანასკნელად ასეულმა მიიღო შეფობა ერთერთ მახლობელ სოფელზე და ყოველგვარ ღონისძიებებს მივმართეთ, რომ გავაუმჯობესოთ სოფლის გლეხობის მდგომარეობა.

ახლოვდება გაზაფხული, გაიხსნება გზები და გაადვილდება მიმოსვლაც. ამის შემდეგ ასეული უფრო გაასკეცებულად, დაუღალავად გააგრძელებს თავის საქმეს და უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება გლეხებს.

სამხკორი არჩილ ჯ—ძე.

## ჩვენი გაზეთის ხელის მომწერთა და გამავრცელებელთა საყურადღებოთ.

ყოველგვარ გაუგებრობის და ხშირად უმართებულო საყვედურების თავიდან ასაცილებლად, რედაქცია ერთხელ კიდევ მოგაგონებთ და გთხოვთ გარკვევით იქნას ნაჩვენები ხელის მომწერთა ვინაობა (სახელი, მამის სახელი და გვარი) და მისამართი (ქალაქი, მაზრა, რაიონი, თემი, სადგური, სოფელი თუ სხვა.)

## მოკლე ვადიანი შეკრების ჩასატარებელი წინასწარი კამპანია.

**6-ხე ლეგ. 3-მე ათასეული.**

ათასეული უკვე შეუდგა შეკრებისათვის წინასწარი კამპანიის ჩატარებას. ამისათვის ის დაუკავშირდა ადგილობრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, მივმართეთ მათ შესაფერი მოწოდებით. მათ სავალდებულოდ გაიხადეს ეს საქმე და ჩვენთან ერთად მუყაითად შეუდგენ მუშაობას.

რომ კამპანიას მისცემოდა ფართე ხასიათი, მოწვეული იქნა ათასეულის უფ-პოლიტ-შემადგენლობის გაფართოებული თათბირი. განხილული იქნა ბიურო კოლექტივიდან გადმოგზავნილი გეგმა ცვალებადთა ხელახალი მიწერისა და მათში მუშაობის საწარმოებლად.

გადაწყდა ჩატარებული იქნეს კამპანიები შემდეგ რაიონებში: 1. თელავ-კურდღელაურში, 2. ყვარელში, 3. ენისელში და ფშაველში, და 4. იყალთოს რაიონებში.

სამოქალაქო ორგანიზაციებმა, როგორც ავღნიშნეთ დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ყურადღება მათ ამ დროს მიქცეული ჰქონდათ საბჭოების არჩევნებისაკენ. დიდ დახმარებას გვიწევდენ აგრეთვე თვით სოფლელი—გლეხები.

სრული დარწმუნებული ვართ, რომ თუ მისაწერი წინასწარი კამპანია ასე ერთსულოვნად გატარდა თვით მომავალი მოკლე ვადიანი შეკრება უფრო დიდი ნაყოფიერობით იქნება ჩატარებული.

**მ. ახალკაცი.**

## რა წიგნები უნდა წავიკითხოთ საქართველოს გასაბჭოების შესახებ.

**საქართველო მენშევიკების ბატონობის დროს.**

1. მარტინოვი. „დემოკრატია თუ დიქტატურა“ ტ. „რაბ. პრავდა“-ს გამ. 1923.
2. მარტინოვი. „მენშევიზმი და ბოლშევიზმი“. ტ. „წით. წიგნი“. 1923.
3. მახარაძე. „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“ ტ. სახ. გამ. 1922.
4. სტალინი. ნაციონალური საკითხი. ტ. „წითელი წიგნი“. 1923
5. ტროცკი. „იმპერიალიზმის და რევოლ. შუა“. ტ. ცეკა. 1922.
6. ღლონტი. „მენშევიკური და საბჭ. საქართველო“
7. „კომუნისტის თანამგზავრი“ № 3. ტ. 1926.

**საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები.**

1. „ადგილობრივი და სათემო ბიუჯეტი“. ტ. ა. კ. ფინსახკომის გამოც. 1925.
2. გეხტმანი. „საქართვ. რესპ. ბუნებრ. საწარმოო ძალები“. ტ. მეცნიერ. საქართ-ში 1925.
3. ერქომაიშვილი, ა. „კოოპერაცია საქართველოში“. ტ. „ცეკავშირი“ 1923.
4. მასალები საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის ანგარიშისა მე IV ყრილობისთვის. ტ. ცეკა 1925.
5. მახარაძე. გეგმიანი მეურნეობა და სახ. საგეგმო კომისიის ამოცანები. ტ. სახ. საგეგმო კომ. გამოც. 1924.
6. პი!ეცკი. პროფმოძრაობა საქართველოში. ტ. „შრომა“ 1924.
7. საქართვ. კომპარტიის მე-IV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში. ტ. ცეკა 1925.

**რა მისცა საბჭ. ხელისუფლებამ სოფელს.**

1. აფციაური. „საბჭ. მუშაობის გამოცოცხლება და მიმდინარე არჩევნები“. ტ. შინ. საქმ. სახ. კომისარიატის გამოც. 1926.
2. ბუხნიკაშვილი. „პოლიტ განათლება სოფლად“. ტ: სახგამი 1925.
3. კაგანოვიჩი. „სოფლად საბჭ. მუშაობის გაუმჯობესება“. ტ. „ზაკკნიგა“. 1926.
4. „მიწის ახალი კანონები“. ტ.

**მხატვრული ლიტერატურა.**

1. ჟურნალი „ჩირაღდანი“ 1925 წ.
2. მაშაშვილი. „მერრეხი“.
3. გედევანიშვილი. „რა იყო და რა მოხდა“. ჟურნალი „დროშა“. 1924 №№ 2, 3, 5, 8. გამოდგება ხმა-მაღლა კითხვისათვის.

**წითელი არმიის 8 წლის თავისათვის.**

1. ბარათოვი. „ჩვენი წითელი ჯარი“. ტ. 1923.
2. ბრონინი. „ლენინი და წით. არმია“. ტ. სახ. სამხ. გამ. 1925.
3. რაფესი. „წითელი არმია“. ტ. 1-ლ ქ. მ. დივ. პოლ. განყ. 1925.
4. ფრუნზე. „მოხსენება წით. არმიის შესახებ“. ტ. 2 დივ. პოლ. განყ. 1925.

**მხატვრული ლიტერატურა.**

1. ზომლეთელი. „წითელ მხედარს“ ლექსები. გვ. 58. ტ. 1924.
   „ „წითელ არმიელს“ ლექსები გვ. 96.
2. შენგელაია. „გურამ ბარანდია. ჟურნ. „დარიალი“. № 1. 1925. ამ რომანის უკანასკნელი თავი ხმამაღლა კითხვისთვის.
3. ჟურნ. „ჩირაღდანი“ № 4. 1925.

## უცხოეთის არმიებში

**„ვეძებთ ყოჩაღ ბიჭებს“. როგორ ავსებენ ინგლისის არმიის რიგებს.**

მსოფლიო ომის დასაწყისში ინგლისის არმია შესდგებოდა მოხალისეებისაგან. ომის დროს შემოღებული იქნა საყოველთაო სამხედრო ბეგარა, ხოლო ამ ჟამად არმია ისევ მოხალისეებისაგან ივსება.

მიუხედავად ამისა, არმიაში წამსვლელთა რიცხვი ძლიერ მცირეა. ეს იმ დროს, როდესაც მათ დიდი ჯამაგირები ეძლევათ. სწორედ ამის გამო ინგლისელები ყოველ ზომებს მიმართავენ, რომ ჩაითრიონ ჯარის რიგებში მოხალისე ახალგაზრდობა. ამ მიზნით აუარება პლაკატები იკვრება ქუჩებში და მთელ სახელმწიფოში.

ძლიერ საინტერესონი არიან ზოგიერთი მათგანი თავისი შინაარსით; ხშირად შეხვდებით ზოგიერთებს ერთსაენიანი ასოებით: „ვეძებთ ყოჩაღ ბიჭებს“.

მეორეში—„ნუ თუ ინგლისში უნდა გაატარო მთელი შენი სიცოცხლე? შედი ჯარში და იხილავ მთელ ქვეყანას!“

და იქვე აღმოსავლეთის ბუნების ფონზე, რომლითაც დამშვენებულია პლაკატი—გამოხატულია ცხენოსანი მხედარი. ინგლისელები მოხერხებულად იყენებენ აგრეთვე უმუშევართა მდგომარეობას ამ მხრივ. სამი მილიონი მუშა უსაქმოდ იმყოფება.

ისინი მოკლებული არიან კვებასა და ტანსაცმელს.

პლაკატებზე ასეთ სურათებსაც შეხვდებით. დახატულია ჩამოხეულ ტანისამოსში მუშა სარკის წინ, რომელშიდაც (სარკეში) ის ხედავს თავისავე თავს სამხედრო ფორმაში ლამაზად გამოწყობილს, ხოლო გვერდით კი დაწერილია დიდი ასოებით:

— არმია შენ ჩაგაცმევს და დაგახურავს!

თუ შეცდა ახალგაზრდა და ჩაეწერა ჯარში მთელი თორმეტი წლის განმავლობაში უნდა ზიდოს საშინელი უღელი სამხედრო დისციპლინისა.

**სავაჭრო ფლოტის სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება.**

უკანასკნელ ომის დროს მრავალი შრომა და მოხერხება იქნა დახარჯული, რომ მოგვარებულიყო წყალქვეშა ნავების თავდასხმისაგან წინააღმდეგ თავდაცვის საქმე. ამიტომ საფრანგეთში აქედანვე იღებენ ზომებს და სავაჭრო ფლოტზე მოსამსახურე მეზღვაურებს ამზადებენ, თუ როგორ მოიგერიონ ჰაეროპლანების და წყალქვეშა ნავების თავდასხმა. ამნაირად სავაჭრო ფლოტი ისე უნდა იქნეს მოწყობილი საფრანგეთის პროექტით, რომ სამხედრო მიზნებისთვისაც გამოდგეს და იმავე დროს სავაჭრო კომერციულ დანიშნულებასაც ასრულებდეს.

## ახალი ამბები.

— მეორე დივ. პოლიტ-განყოფილებამ დაუგზავნა ნაწილებს გეგმაში მე-14 პარტ ყრილობის რეზოლიუციების შესასწავლათ.

— 250 ტრაქტორი. ა. კ. სას.-სამ. საზოგადოება „ზაკსელმაში“ იძენს საზღვარგარეთ 250 ტრაქტორს.

## პასუხი შეკითხვებზე.

**მზრუნველს.** თუ თქვენი მცირე წლოვანი ძმა თქვენს რჩენაზე იმყოფება, უნდა განთავისუფლებულ იქნას სწავლის ფულისაგან.

**სიგუას.** განსაკუთრებულ სასწრაფო შემთხვევებში შეიძლება მოგეცეთ ტრამვაის ფული, ისე კი არა. ცხენის შესახებ მიმართედ თქვენს უფროსს.

**ურ—ლს.** 1902 წ. დაბად. შემოდგომაზე გამოწვეულთათვის სამსახური ითვლება 1 ნოემბრიდან 1924 წ.

**№-ს.** ჯამაგირს მეშვიდე ხარისხით სწორად ღებულობთ.

**საწირელს.** გამოგვიგზავნეთ დამატებითი ცნობები: ვინ, სად და რა სამუშაოს ასრულებს.

**ბარამიძეს.** 1916 წ. ვექსილს დღეს ძალა დაკარგული აქვს.

## ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ და ვიწვევ თითო თვით ამავე გაზეთის გამოწერაზე შემდეგ ამხანაგებს: ტობანიერის თემიდან, დავით ს. მეფარიშვილს, გეგუჩაძე გრიგოლს, იპოლიტე გ. მეფარიშვილს.

სამტრედიიდან: მეისრე ამფელოქე ბურკაძეს; ტობანიერიდან კოწია გ. მსხილაძეს, ფაილაძე რაფიელს; სხვა და სხვა სამხედრო ნაწილებიდან: იროდიონ გუმბერიძეს, ვარლამ ფ. კორძაძეს, დიმიტრი ზარაშენიძეს და ვალერიან თომეიშვილს.

6-ხე ლეგ. 5-თე ასეულის უნცროსი მეთაური

**მეფარიშვილი.**

**შ. ბ.** მიწის ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია. უვარგის მიწის შესახებ უნდა მიმართოთ თემის მიწად მომწყობ კომისიას.

**მაისურაძეს.** მიმართედ ადგილობრივ სათემო მიწად მომწყობ კომისიას და შემდეგ სამაზრო კომისიას.

**რ. ზ.** თუ სასამართლოს გადაწყვეტილების კმაყოფილი არ ხართ, შეგიძლიათ მიმართოდ საკასაციო ინსტანციას, ე. ი. გაასაჩივროთ საოლქო სასამართლოში.

**თაყაძეს.** მიმართედ საბინაო ამშენებლობის კავშირს.

**ბოგიშვილს.** სამსახურის გათავებამდე შეგიძლიათ თქვენი მიწა იჯარით გასცეთ.

**გვენეტაძეს.** მიწა-წყალს ანაწილებს ადგილობრივი მიწად მომწყობი კომისია, თქვენ როგორც გლეხს, მოგეცემათ ნორმა და არა როგორც მესკვიდრეს.

**კვაჭაძეს.** კოოპერატივის წესები გამგეობის კომპეტენციაში შედის, მიმართედ მას.

**ხუჭუას.** შეუძლია ქალს სასამართლოს წესით მოთხოვოს იმ კაცს ტანსაცმელის დაბრუნება. კანონიერ ცოლად არ ითვლება.

**კვანჭიას.** სკოლის უფროსს მიმართედ იშუამდგომლოს სათანადო ორგანიზაციების წინაშე, თქვენს ოჯახზე დახმარებისთვის.

**ჩაგანავას.** თქვენი ცხენის წამყვანის ვინაობა არ იცით, შეუძლებელია გარკვევით რისიმე პასუხი.

**ცანავას.** მოძებნეთ შეფასების ქაღალდი და გამოგვიგზავნეთ, რის შემდეგ მიიღებთ პასუხს.

**კუნჭულიას.** მიმართედ იმ რაიონის სახალხო სასამართლოს, სადაც ცხოვრობს ძიძა.

**კლდის პირელს.** სამხ. რევ. ტრიბუნალთან არსებულ იურიდიულ ბიუროს პირადათ წარუდგინეთ დამატებითი ცნობები.

**სამხედროებო! ახლოვდება საქართველოს გასაბჭოების 5 წლისა და წითელ არმიის 8 წლის თავი. გამოაგზავნეთ, რაც შეიძლება დაჩქარებით, კორესპონდენციები ამ დღესასწაულის შესახებ.**

## ჩვენი ფოსტა

**ამხ. მარკ. ბიწაძეს.** თქვენი წერილი გადაეცით კედლის გაზეთის რედკოლეგიას.

**ამხ. მეთვალყურეს,** (1-ლი ლეგ.). თქვენი წერილი „უბედური შემთხვევა“ გადაეგზავნა ლეგიონის სამხედრო კომისარს შესაფერი ზომების მისაღებათ.

**ამხ. დავ. ჭანკვეტაძეს** (6-ხე ლეგ.) თანახმად თქვენ მიერ რედაქციაში წარმოდგენილ წიგნაკის № 27 ხელის მომწერთა სიისა და იქ ნაჩვენებ მისამართებისა გაზეთები 1-ლ თებერვლიდან ეგზავნება უკლებლივ ყველა ხელის მომწერთ. შეიძლება რაიმე გაუგებრობას ჰქონდეს ადგილი. გამოარკვიეთ და გვიპასუხეთ.

**ამხ. დ. ვაჩეიშვილს** (1-ლი საკავშ.) თქვენი წერილი „ცოტა რამ კედლის გაზეთების შესახებ“ არ დაიბეჭდება. მოიწერეთ კონკრეტიულად, თუ როგორი შეხედულებისა ხართ თქვენს კედლის გაზეთზე და რა ნაკლი აქვს მას.

**ამხ. ვ. სვანიძეს** თქვენი წერილი „რა განსხვავებაა კომკავშირსა და ახალგაზრდა მარქსისტთა შორის“ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ შეგიძლიათ ისაუბროთ ან გააკეთოთ მოხსენებები კომკავშირის სკოლებში თქვენთან.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-4-ხე ქართულ მსრ. ლეგიონის მე-5-თე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამავე ასეულის ზემდეგს—ა. ლ. კ. კ. წევრს—ამხ. ირაკლი ივანესძე შუბლაძეს (სენაკის მაზრის ს. დიდი გეზათის მცხოვრებს) კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ.

კომუჯრედი გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე საწინააღმდეგო იცით, ამხ. შუბლაძის შესახებ გვაცნობოთ ამა წლის 25 თებერვლამდე შემდეგი მისამართით: ქ. ჭიათურა მე-5-თე ასეულის კომუჯრედის მდივანს—დავით გუბელაძეს.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი